განკარგულება:**g-135.135222442**
თარიღი:**01/09/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგი

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

I. დამტკიცდეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. **მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის II კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების შესახებ**

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის“ დაფუძნების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ:

/მომხსენებელი: ქ.ხარძიანი. თანამომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

3. მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.16.43.112), მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.16.43.817) გაცვლის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

/მომხსენებელი: თ. გოშთელიანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი./

4. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ანგარიში შპს ,,მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების“ მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამის''დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 25.02.2022 წლის №გ-135.135220561განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

II. განკარგულება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.
III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი